კურტი ჩუმად აღებს განჯინას და თახჩებში რალაცას ეძებს. არაფერი არ არის, გამხმარი პურის ქერქის გარდა.

ამას გზაში შესქამს.

ქუჩაში ყინავს. კურტი მირბის, რაც ძალი და ღონე აქვს. აგერ სკოლაც. სკოლის შენობა თავისი მაღალი ყორით ყახარმას უფრო ჰგავს. ვილი და კარლ აღრე მისულან და კურტს ელიან. ესენი საკმაოდ გაიყინენ და ახლა ხტუნავენ, რომ გათბენ.

— ძლივს გელირსა. იყავ მზად!

— მუდამ მზად ვარ!

ლაპარაკის დრო არ არის.

ჯერ კიდევ ბევრი საქმე აქვთ გასაკეთებელი.

სკოლის ეზოში მიიპარებიან. ვილი თადარიგიანი ბიჭია. თან კასრით წებო და დიდი ფუნჯი მოუტანია. ის სწრაფად უსვამს კედლებზე წებოს, კურტი კი პლაკატს აკრავს. კარლ კართან ყარაულობს: თუ რამ სახიფათო გამოჩნდება, უნდა დაუსტკინოს.

ვილი და კარლიც მუშაობდნენ მთელი ღამე და ბევრი პლაკატი დაამზადეს, მთელი ეზო იმითაა მოფენილი.

კურტიც იღებს უბიდან თავის პლაკატს. როგორ ბრწყინავს წითელი ასოები:

„საბჭოთა კავშირი ჩვენი სამშობლოა“.

— რა კარგია, — ჩურჩულებს ვილი. — მაგას კედელზე ნუ ვაკრავთ, მოდი, დროშა გავაკეთოთ.

ის თავის ყელსახვევს იხსნის და პლაკატს ზედ ქინძისთავებით ამავრებს. ნაჭერი თუმცა ქალაქზე პატარაა, მაგრამ იმედს არა ჰკარგავენ, დროშად მინც გამოადგებათ.

— მეც კარგი საქმე მოვიგონე.

კარლ ქუჩაში გარბის, ოღონდ პოლიციელმა კი არ დაინახოს! გულდაღმა ასფალტის ქვაფენილზე წვება და მუცლით მიხობავს. ხელში ნახშირის ნაჭერი უჭირავს. ქვაფენილზე მალე დიდრონი შავი ასოები ჩნდება. მათი წაკითხვა ადვილია: „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს“, „სა-

ბჭოთა კავშირში ბავშვებს არ სცემენ“.

მშვენიერია: ქვაფენილზეც კი ლოზუნგია!

— ჩქარა, ცოტა ჩქარა, თორემ, თუ მოგვასწრეს, კარგი დღე არ დაგვადგება, აფრთხილებს ვილი.

მოსწავლე ბავშვები ბლომად შეკრფილან ქუჩაში. არცერთს არ უნდა კლასში შესვლა. მა-



სწავლებელნი კი გარეთ არ გამოდიან, ეშინიათ. ბავშვები ყვირიან, მუშტებით იმუქრებიან, სკოლის შენობას წიგნებსა და ქვებს ესვრიან.

— არ გაბედოთ ჩვენი ცემა!

— ძირს ლემანი და მისი სახაზავი!

— მოგვეციოთ საუზმე, ჩვენ ქამა გვინდა!

გამვლელნი ჩერდებიან და მემამბოხე ბავშვებს ათვალეფრებენ. თუ ასე განაგრძეს ყვირი-

ლი, შალე პოლიცია მოვა და ჯოხებით გარეკავს მათ.

— ტყუილად კი არ არის ვილი პიონერი. მან ეს კარგად იცის, და ისიც კარგად იცის, თუ ახლა რა უნდა გააკეთოს. ის სწრაფად ადის კიბეზე.

— ამხანაგებო, მოწაფეებო! — ყვირის ის. — ჩვენს სკოლაში სწავლა შეუძლებელია. ჩვენ იქ სიცივისაგან აუად ვხდებით, საძა-



გელი ლამფებისაგან ვბრძავდებით. მასწავლებელნი, ხელში რაც მოხვდებათ, იმით გვცემენ. ჩვენ მეტის მოთმენა აღარ შეგვიძლია. ჩვენც უნდა გავუთანაბრდეთ საბჭოთა კავშირს, სადაც მოწაფეებს არ სცემენ. ამხანაგებო! გამოაცხადეთ გაფიცვა. არცერთი არ შეზვიდეთ კლას-

ში, თუ უარს არ იტყვიან ჩვენს ცემაზე

ბავშვები მქუხარე ტაშით და ვაშას ძახილით ხედებიან ვილის სიტყვებს. რამდენი ხელი მიიღეს მისკენ, რამდენი ქული ფრიალებს ჰაერში!

— ვაშა, ვილი! ჩვენ ვიფიცებით. ძირს ლემანი, ძირს ცემატყეპის მასწავლებელი!

კურტი ვილის ყელსაბამს აფრიალებს, რაზედაც ლოზუნგია დაკრული.

— ამხანაგებო, ყველანი ქუჩაში გავიდეთ! — ყვირის ვილი.

მოწაფეები კედლებიდან პლაკატებს ხსნიან და ქუჩაში გადიან.

— ყველანი ქუჩაში! — კვლავ ისმის ყვირილი.


მწყობრი რიგებით გამოდიან გარეთ. ბევრნი არიან, ასეულები...

წინ საგაფიცვო კომიტეტი მოუძღვისთ: კურტი, კარლ და ვილი. ვილი „ინტერნაციონალს“ მღერის. სიხარულისაგან უნდა ძლიერ იცინოს, ან იტიროს.

„რასაკვირველია, ესენი გაიმარჯვებენ“.

პოლიციელებს უკვე გაუგიათ მათი ყვირილი და რეზინის სქელი ჯოხებით მირბიან გაფიცულებისაკენ.

დე, გარეკონ, დე, სცემონ, — ესენი მაინც არ დანებდებიან.



„გაუგარჯოს

კარგანგაფუგას“

ესოდ სძაურობაა. ბავშების კრიბაული ცან სწუდება. ერთ ჯკუფს შოუწეუია მსატკრული კუთსე.

— გაუმარჯოს თქტამბერს, გაუმარჯოს კულტურულ რევოლუციანს! — გაჭკივის სინარულით ზატარა შაქრო.

— კარგად ვისწაული, რომ ღვინით დიდი კაცი გავსდებარა, თამრო? რას იტყვი? — მიმართავს სოსიკო ხელების შუშნით წითელი თავსაფრით თავწაკრულ თამრიკოს.

— ჩვენც, ზატარა ქალები, ვეცდებით ვიუთ ნამდვილი კომუნარები. ასლა ჩვენც შოვასწობთ წითელ კუთსეს და იქ თავს მოვიერთო მსოლოდ გოგონები. ვნახოთ, ვინ აჯობებს, — უნახსუებს თამრიკო.

დაუცურდენ ზატარა გოგონები თამრიკოს მეთაურობით. შორთეს ბაღის კუთსე ვვავილებით, ფოთლებით, წითელი ნაჭრებით, ჩამოჭკიდეს ბელადების სურათები, ფიცრებით გააკეთეს შავიღები,

თავისთი ბისებრად გავითარეს ახლან სკაძეი, ფაქრეი, ქა-
დალდეი; მიიწვიეს უმცროსები და ასწავლიან წერა-კითხვას.

თამრიკომ წითელი ფანქრით ქადალდის დიდ ნაჭერსე წააწერს
„გაუმარჯოს კულტესტაფეტას“.

ბაღში ირავლი ქურნალ „ზიონერს“ ჰკითხულობდა. ბავშვების
მხიარულ თამაშსაც გამაღებით თვალს ადევნებდა.

როცა თამრიკომ ლამაზი ასოებით დაწერილი ლოზუნგი
„გაუმარჯოს კულტესტაფეტას“ — კუთხეში ჩამოჰკიდა, ირავლი წა-
მოღვა და მივიდა ბავშვებთან.


— საღაბი, ოქტომბრელებო!

კოგონები წამოიშალენ. სმარობასე სონიკო თავისი მეგობ-
რებით მიუასლოყდა მათ მიერ მოწუბილ წითელ კუთხეს.

— კარგად და ლამაზად მოგიწვიათ წითელი კუთხე, მაგრამ
საინტერესოა — გესმისთ თუ არა ამ ლოზუნგის მნიშვნელობა? —
და სელით თამრიკოს მიერ გაკეთებულ ლოზუნგს მიუთითა.

— არ მესმის, მაგრამ, ალბათ, საჭირო ლოზუნგია. მე და-
მანასსოყრდა, როცა ჩემი ძმის ვაკოს კომკავშირელი ამხანაგები
გუშინ აქ ბაღში ჰქვიროდენ: „გაუმარჯოს კულტესტაფეტას“.

ირაკლის ესმის კულტესტაფეტის მნიშვნელობა, იგი ბუჯითი





ქეთხევილი ,,ახალგაზრდა კომუნისტი“-ს, ,,ბოლშევიკ“-ს და, სხვა-
თოდ, ჭკითხულობს ლიტერატურას. ამიტომ განსაგები ასსნა-გან-
მარტება მისცა ოქტომბრელებს ლოზუნგის შესახებ.

— ესტაფეტა უცხო სიტუაცია. ის ნიშნავს კოლექტივების შე-
ჯიბრებას წინასწარ მიცემული დავალებების მიხედვით. მაგალითად,
შე დაგაგალოთ რაიმე საქმე. ვთქვათ, ბავშთა კოლექტივების მო-
წეობა. საშუალო ასრულებით ორი ჯგუფი და ერთმანეთს ეჯიბრებით
საშუალო მაღე და კარგად შესრულებისათვის. ასეთ შეჯიბრებას
ესტაფეტა ეწოდება. შეჯიბრება კულტურულ ფორმისადაც სდება და
ამიტომ მას ეწოდება კულტესტაფეტა.

კულტესტაფეტა ჩვენთვის ჯერ მასიური მუშაობის ახალი ფორ-
მაა. ზირველი კულტესტაფეტა მისხად ისახავს: 1) წერა-კითხვის
უცოდინანრობის ლიკვიდაციას, 2) საყოველთაო-სახვადღებულო სწავ-
ლების გატარებას, 3) ზოლიტექნიკისადაც და სკოლის ასაკამდე
აღზრდისთვის ხელის შეწეობას.

კულტესტაფეტა კულტლამქრობის მძალი საფესურია. ოქტომ-
ბრელებმა თავისი მხრით ენერგიული მონაწილეობა უნდა მიიღონ
კულტესტაფეტის ჩასატარებლად.

ვათავა ირაკლიმ ასსნა-განმარტება.

ბავშვები კმაყოფილნი დარჩენ უფროსი ამხანაგის უზრდლებით.

— გაუმარჯოს კულტესტაფეტას! — წამოიყვიროს ბავშვებმა და
მხიარულად გაეშურენ ბინებისაკენ.

ს. გ - ა

ვეთს მუშაი ბიბიოკო

მხოლოდ დღეს გაიგო მიში-
კომ, თუ რა დიდი სარგებლო-
ბა მოაქვს ხეებს ადამიანისათვის.

აქამდე, როგორც სხვა ბავ-
შვები, მიშიკოც არ აქცევდა
ყურადღებას ხეს, სტეხდა შტო-
ებს, სკრიდა ძირში ახალ ამო-
სულ ჩქოლებს და ჯოხებს აკე-

თებდა, სკრიდა ხეებზე თავის
სახელს.

დღეს კი ოქტომბრელების
ხელმძღვანელმა მარომ უამბო
ოქტომბრელების კრებას — რა
სარგებლობა მოაქვს ხეებს, რო-
გორ აშენებენ ხისაგან სახლებს,
აკეთებენ სხვადასხვა ჭურჭელს.



ავეჯს, ქალაღდს; ხე იძღვევა აგრეთვე ნახშირს, ფისს, კუპრს, სკიპიდარს და სხვ.

მიშიკოს შერცხვა.

მარომ კი განაგრძო:

— ხეები შევლის აგრეთვე მოსავლის მოყვანასაც: იქ, სადაც ბევრი ხეა, პურის კარგი მოსავალია, რადგანაც ხეები ინახავს სინესტეს მიწაში; მდინარეები, რომელსაც ხეები უჩრდილებს, არ შრება, წყლით ყოველთვის სავსეა კალაპოტი და ბევრი თევზია შიგ; ხეები სწმენდს და აგრილებს ჰაერს.

მიშიკომ ვეღარ მოითმინა და ასწია ხელი.

— რა ამბავია, მიშიკო? — ჰკითხა მარომ.

— მე უნდა გამავდოთ რაზმიდან: იმდენი ხე გავაფუჭე უბრალოდ, რომ არ ვარ ღირსი ოქტომბრელი ვიცო.

ბავშვები შემოეხვივნენ მაროს და ყვიროდნენ:

— მეც უნდა გამომრიცხოთ!

— მეც!

— მე პირობას ვიძღვევი — აღარ გავაფუჭებ ხეებს.

ძლიეს დაამშვიდა ბავშვები მარომ.

— დაიცათ, ბავშვებო, გამოირიცხვით არავინ არ გამოგრიცხავსთ, ჯერ ხომ არავის არაფერი უთქვამს თქვენთვის ამის შესახებ, მაგრამ დასჯით კი დაგსჯით. აბა ყური მივღეთ. აქედან რომ წახვალთ, ყველამ უნდა უამბოთ თქვენს ეზოებში ბავშვებს ტყის სარგებლობის შესახებ. ეზოებში ყველგან უნდა დარგოთ ჩქოლები; ამას გარდა, ყველამ უნდა მიიღოს მონაწილეობა „ტყის დღის“ ზეიმში, რომელიც ყოველ წელიწადს იმართება აპრილ-მაისში.

— ხა-ხა-ხა! — გაისმა მხიარული სიცილი, — დასჯაც ასეთი უნდა!

— ჩვენ დიდი სიხარულით შევასრულებთ ყველაფერს.

მეორე დღეს მიშიკომ ყველა ბინა ჩამოიარა, გამოიხმო ბავშვები ეზოში და უამბო, რაც კრებაზე სთქვეს.

— იცით, ბავშვებო, ჩვენი ეზო მთლად ტიტველია, მოდით, ხეები დავრგოთ, — უთხრა მან ბავშვებს.

დღითვე, როცა კარგად ვიხსენებ, —
დელი ბალი გავაკეთოთ.

— აბა, ბავშვებო, ახლა წავი-
დეთ სახლის კომენდანტთან,
დაგვეხმარება.

ჯგუფად შეეკვივდნენ ბავშვები
სახლის კომენდანტთან.

— რა მოხდა, ბავშვებო? —
ჰკითხა მან.

— ბალი გვინდა გავაკეთოთ, —
მიუგო ყველამ ერთხმად.

— ბა-ალი? — გაუკვირდა კო-
მენდანტს.

მიშიკომ აუხსნა, რაც უნდო-
დათ.

— აი ასე უნდა გეთქვათ ერთ-
ბაშად, — გაეხარდა კომენდანტს.

— კაი საქმე გიფიქრიათ, მდგმუ-
რებიც დაგეხმარებიან.

მეორე დღეს ბავშვები ისევ
შეიკრიბნენ, კომენდანტიც მო-
ვიდა.

— აბა, ახლავე შევუდგეთ საქ-
მეს. მთავარ ტყისმცველად მი-
შიკო ავირჩიოთ. ის მოგვიმზა-
დებს ყველაფერ მასალას, რაც
საჭიროა. ჯერ დავნიშნოთ ად-
გილები, სადაც ხეები უნდა ჩა-
ვირგოს. ხეები ერთმანეთზე ორი
მეტრის დაშორებით უნდა ჩა-
ვირგოთ, — უთხრა მათ კომენ-
დანტმა.

ყოველმა ორმა ბავშვმა თითო
პატარა სარი და კანაფი მიიღო.
კანაფის ბოლო ბავშვებმა გამო-
აბეს სარს და გაზომეს ორი მე-
ტრი, ჩაასეს მეორე სარი, დას-
კიმეს და მიაბეს კანაფს. და ასე
განაგრძდეს, სანამ მთელი ეზო
არ მოამზადეს.

— ხვალ ტყეში წავიდეთ ჩქო-
ლების მოსატანად, — უთხრა ბავ-

შუშაობა გაათავეს.

მეორე დღეს წაიყვანეს ურმე-
ბი და მხიარულად გაუდგენ-
გზას. სალამოს მობრუნდნენ; ურ-
მებზე ჩქოლები ეწყოთ, ფეს-
ვებზე ტომრები და ქილობები
შემოეხვიათ.

ფრთხილად გადმოიღეს ხე-
ები, დააწყეს ერთ ადგილას გა-
დაწყვიტეს — დილაზე დაერგათ.
შემდეგ წავიდ-წამოვიდნენ სახ-
ლებში.

დილაზე შეუდგნენ დარგვას.
ბავშვების დასახმარებლად მშობ-
ლებიც გამოვიდნენ და ურჩევ-
დნენ — როგორ დაერგათ, რომ
უსათუოდ გაეხარა ხეს.

ამოთხარეს სორმოები — სიგრძე-
სიგანით ნახევარ-ნახევარი მე-
ტრი. როდესაც ჩქოლები ჩარ-
გეს, ორ-ორი კოკა წყალი ჩა-
ასხეს მოსარწყავად. სალამომდე
დასჭირდათ მუშაობა ბავშვებს,
სამაგიეროდ სწორად და ლამა-
ზად იყო ჩამწყვირებული ნაძვე-
ბი და ქადრები.

ხეებზე ბავშვებმა ჩამოჰკიდეს
პატარ პატარა ფირფიტები წარ-
წყვრით — ვინ რომელი ხე დარ-
გა. გადაწყვიტეს ყოველდღე
მოერწყათ ხეები და მხიარულ-



ნი და კმაყოფილნი წავიდნენ სახ-
ლებში.



აღდგომის ნინ

იცით, რა არის აღდგომა?

თქვენ ის აღბათ არ გახსოვსთ. რამდენიმე წლის წინად ამ დღეს დილიდან საღამომდე რეკდენ ხარებს, საყდრების გარშემო უვლიდენ სანთლებით და გალობდენ „ქრისტე აღსდგა“.

ახლა ჩვენში ამ დღეს უკვე აღარ დღესასწაულობენ. კიდევ დავავიწყდა, როდის არის ის, რატომ მოხდა ასე? რა დღესასწაულია აღდგომა, ვის სკირდება ის, რატომ არ დღესასწაულობენ ახლა ამ დღეს, კარგია თუ არა ეს?

დავალება

ამ რამდენიმე წლის წინად ერთ-ერთი გაზეთის რეპორტიო-

რი ვიყავი, დავდიოდი მთელს ქალაქში და ვაგროვებდი გაზეთისათვის საინტერესო ცნობებს, ვავსებდი გაზეთის იმ განყოფილებას, რომელსაც აწერია: „ქრონიკა“. ერთხელ, აპრილში, რედაქტორმა გამომიძახა და მითხრა: —ხვალ აღდგომაა; უნდა გაიგოთ, ვინ ხვდება აღდგომას და როგორ. ამის შესახებ დასწერეთ გაზეთში.

მეორე დღეს დილაადრიან ვიყავი ქუჩაში.

ქ უ ჩ ა შ ი

დილით ქუჩებში სრული სიწყნარე სუფევდა, შუადღისას კი ქუჩა გამოცოცხლდა, ახმაურდა და გამვლელებით აივსო.

გამვლელთა შორის მრავალი მთვრალი შეენიშნე; ისინი ვი-რილითა და გინებით იწვევდენ არევ-დარევას. გახშირდა აყალ-მაყალი და ჩხუბიც, მილიცი-ონერები უსტვენდენ და მოჩხუ-ბართ აპატიმრებდენ; გარბო-დენ და გამორბოდენ მეხოვე-ები, ეტლები ივსებოდა მთვრა-ლი პატიმრებით.

წავედი მილიციაში — ვნახოთ, რა ხდება იქ.

მილიციაში

მილიცია საესე იყო მთვრალი მოქალაქეებით. მაგიდებსა და იატაკზეც ეყარენ ისინი, იგი-ნებოდენ, შუოთავდენ.

მილიციონერმა მითხრა: ახლა მთვრალ მოქალაქეთა რიცხვი უფრო ნაკლებია, ვიდრე გასულ წელსო.

გამოვედი მილიციიდან. უეც-რად ჩემს წინ ჩაიქროლა სასწრა-ფო დახმარების ავტომ, მას მო-ჰყვა მეორე, მესამე. ვაყუევი სა-სწრაფო დახმარების ავტომო-ბილს.

სასწრაფო დახმარება

შევედი მორიგი ექიმის კაბი-ნეტში ჩემი რვეულით და ფან-ქრით.

მაგიდის ტელეფონები წამდა-უწუმ რეკა:

— მოგვაშველეთ სასწრაფო დახმარება: სიმთვრალის დროს დასქრეს მოქალაქე.

— მთვრალი მოქალაქე გად-მოვარდა მეორე სართულიდან.

— მოგვაშველეთ სასწრაფო დახმარება: ვილაც მოიწამლა.

მორიგი ექიმი უსმენს ტელე-ფონით, ჰკითხავს მისამართს, თითს აქერს ელექტროზარს, და ქალაქის სხვადასხვა კუთხისაკენ მიქრიან სასწრაფო დახმარების ავტომები მოქალაქეთა გადასარ-ჩენად.

უეცრად კაბინეტის კარი შე-მოაღო მღვლევარე ხალხმა. ორ-მა სანიტარმა საკაცით შემო-იყვანა სისხლში დასვრილი, გო-ნებადაკარგული კაცი.

— ხელი გადასჭრა ტრამვაიმ, — მითხრა სანიტარმა.

მე დავინახე ხალათის ცალი-ერი სახელო.

დაქირლს ღვინის სუნი ამო-სდიოდა.

ვერ გავუქელ გადაქირილი ხე-ლის ცქერას და ქუჩისაკენ გა-მოვბრუნდი.

— რა საშინელებაა, — ვფიქ-რობდი, — ნუთუ იმიტომ, ქრომ ოდესღაც თითქოს „ქრისტე აღ-სდგა“, ხალხმა უნდა ილორმუ-ცელოს, დათვრეს და დამახინ-ჯდეს?

ეკითხოთ: მართლა აღსდგა ქრისტე?

ძველად, რევოლუციამდე, სკოლაში ბავშვებს ასწავლიდენ, რომ თითქმის ორიათასი წლის წინად ქვეყნად ცხოვრობდა ღმერთი იესო ქრისტე, იგი აწა-მეს და გააქრეს ჯვარზე, დასა-ფლავენის მესამე დღეს კი ის აღსდგა და ამალღდა ცაში.

ქრისტეს აღდგომის დღეს ხალ-ხი დღესასწაულობდა მის მოსა-გონებლად.

მართალია ეს ამბავი? სუთიათასი წლის წინად ხმელთაშუა ზღვის ნაპირებზე ფინიკიელები ცხოვრობდნენ. ეს ხალხი ცდესასწაულობდა საკუთარი ღმერთის აღონისის აღდგომას და ყოველ გაზაფხულზე აღონისის აღდგომის დღეს ისინი ერთმანეთს ულოცავდნენ: „აღონისი აღსდგა!“

ეს იყო ქრისტიანობამდე სამიათასი წლის წინად.

მრავალი ათასი წლის წინად სპარსეთშიც უქმობდნენ აღდგომას. მათი ღმერთი იყო მითრა. სპარსელებს სჯეროდათ, რომ მითრა დაიბადა ბნელ გამოქვაბულში 25 დეკემბერს და სიკვდილის შემდეგ აღსდგა საფლავიდან. მითრას აღდგომის დღესაც გაზაფხულზე დღესასწაულობდნენ, როცა დღე და ღამე თანაბარია.

ვინ აღსდგა?

სინამდვილეში რომელი მათგანი ცხოვრობდა ქვეყნად და სიკვდილის შემდეგ აღსდგა თუ არა რომელიმე?

არავითარი ღმერთი ქვეყნად არ ყოფილა და სიკვდილის შემდეგ არავინ არ აღსდგა. ყველაფერი ეს ძველი ღმერთებია.

ჩატომ დღესასწაულობდნენ აღდგომას?

მრავალი ათასი წლის წინად ადამიანის იარაღი მხოლოდ ქვად იყო. იგი იკვებებოდა მცენარის ძირკვებით, ღეროებით და უმი ხორცით. ზამთრობით ადამიანს დიდი გაჭირვება აღგაძნელი იყო საკვების შოვნა. ადამიანი ფიქრობდა—ზამთრობით ბუნება კვდებაო. გაზაფხულზე რომ ბუნება ხელახლად აყვავდება, ადამიანისთვის ეს „ბუნების აღდგომა“ იყო. ადამიანი დღესასწაულობდა ბუნების აღდგომას. აი ამ დღეს დარქვეს შემდეგ „აღდგომა“. ამიტომ არის, რომ შემდეგ „ღვთის აღდგომას“ გაზაფხულზე დღესასწაულობდნენ.

ახლა ადამიანი ბუნების მონა აღარ არის. ჩვენ ვიცით ბუნების ძალთა მოძრაობა, ვიცით, რით არის გამოწვეული ელვა,



წყალდიდობა, მზის დაბნელება და სხვა. ჩვენ გვაქვს მანქანები, ქარხნები, ფაბრიკები, ბუნების ძალებს ვიყენებთ ჩვენი სურვილის მიხედვით.

რატომ რეკლენ აღდგომას ზარებს?

ოდესღაც ადამიანმა არ იცოდა, რისგან წარმოდგება ავადმყოფობა, წყალდიდობა, მზის დაბნელება და სხვა უბედურება. მას სწამდა, რომ უბედურებას ქვეყნად ბოროტი სულები აჩენენ.

რომ ბოროტი სულები განედევნათ, უბედურების დროს ადამიანები სტებდენ ყვირილს, ხმაურს. ჩინეთში მზის დაბნელების დროს ახლაც გროვდება ხალხი და ყვირის, ხმაურობს.

რევოლუციამდე ჩვენშიც აღდგომის კვირაში რეკლენ ზარებს. ამ ზარის ხმით უნდოდათ განედევნათ ბოროტი სულები.

ვის სჭირდება რელიგია?

ყველა ქვეყანაში მღვდლები, რაბინები, მოლები ასწავლიან მუშებს და გლეხებს — იყავით წყნარად და არ აუჯანყდეთ მეფესა და მყვლეფელებსო. რო-

ცა ჩვენში ოქტომბრის რევოლუცია მოხდა და სამოქალაქო ომები დაიწყო, თეთრების ჯარი უმთავრესად მეფის მომხრეებისა და სამღვდლოებისაგან შედგებოდა. 1921 წლის შიმშილობის დროს მღვდლები არ იძლეოდენ საყდრებიდან ოქროს, ეს ოქრო კი საჭირო იყო, რომ გვეყიდა პური და დამშეულები გამოგვეყვება.

ეკლესია ყოველთვის მყვლეფელთა დამცველი იყო. ყოველ მხარეში სამღვდლოება ამაგრებს კაპიტალიზმს. თქვენ უკვე იცით, როგორ ილაშქრებს რომის პაპი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ; ისე ილაშქრებს ჩვენს წინააღმდეგ ყველა ქვეყნის ეკლესია.

ძირს აღდგომა!

საღამოს სუფთად გადავწერე აღდგომის დღეს მომხდარი შემთხვევები. აქ იყო: მკვლელობა, დასახიჩრება, მოწამლვა და მრავალი სხვა ბოროტმოქმედება. წერილს სათაურად დავაწერე: „ძირს აღდგომა, ღორმუცლობა და ლოთობა“ და მეორე დღეს გაზეთში გამოვაქვეყნე.

იანო

რელიგიის საბოლოოდ აღმოსაფხვრელად ხელი შევუწყობთ წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობას.

რა ზარალი მოაქვთ მავნებლებს? ჩვენს ბაღებში აუარებელი სხვადასხვა მავნებელი ბუდობს. რომ გამოვიანგარიშოთ, ზარალი ბევრ მილიონს აღემატება. ზოგ რაიონში ისე გამრავლებული არიან მავნებლები, რომ ბაღებში ხილეულობა არავითარ მოსავალს აღარ იძლევა და იძულებული ხდებიან გადასკრან ხეხილი.



ნახ. 1.

მოსწავლე ბავშვებმა სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუტყხადონ ბაღის მავნებლებს, ისინი უნდა შეგებრძოლონ მათ კოლექტივების და სოფლების ბაღებში; არცერთი ბაღი არ უნდა იქნეს დატოვებული უყურადღებოდ.

ჩვენ აქ ჩამოვთვლით მთავარ მავნებლებს, რომელთაც გაზაფხულობით უნდა ვებრძოლოთ.

ცხირგრძელა. პაწაწა ხოჭოა, სამი-ოთხი მილიმეტრი (ნახატი 1) ძალიან გამრავლებულია ყველგან ჩვენს კავშირში და საშიში მტერია ვაშლისა და ნაწილობრივ მსხლისაც. ადრე გაზაფხულზე, გამოინასკვება თუ არა კვირტები ვაშლის ხეზე, ცხირგრძელა იწყებს თავის მავნებელ

მოღვაწეობას. ბრძოლა უნდა დაეწყოს ადრე, როგორც კი იწყებს თოვლი დნობას.

ბაღში ვაშლის ძირში მოფხიკეთ ნიჩბით შარშანდელი ფოთლები, მიწა, ააგლიჯეთ დაბერებულ შტოებსა და ღეროზე მღიერი, ჩაყარეთ ტომარაში, მიიტანეთ სკოლაში, გაშალეთ მაგიდაზე გაზეთი და გამოყარეთ ზედ. თვალყურით ადევნეთ და, როდესაც მიწა გათბება, დაინახეთ, რომ დაძინებული ხოჭოები გაიღვიძებენ და აფუსფუსდებიან. მაშინ უნდა შეაგროვოთ შარშანდელი ფოთლები ბაღში და დაწვათ. მღიერი და ხავსი უნდა ჩამოსწმინდოთ ხიდან, გამსკდარი ხის ქერქი უნდა ამოგლისოთ კირნარევი თიხით. როდესაც კვირტები



ნახ. 2.

გამოინასკვება, ხოჭოები უნდა ჩამობერტყოთ ხიდან ქილობებზე ან სხვა რამეზე და დაწვათ, ან მღუღარე გადაასხათ. როდესაც ვაშლი აყვავდება, დაზიანებული კვირტები უნდა მოკრიფოთ და დაწვათ.

კუნელის პეპელა თეთრი დიდი პეპელაა (ნახ. 2), ზაფხულში

სდებს 20-40 პაწაწა კვერცხს ვაშლის, მსხლის, ქლიავის, კუნელის და სხვა მცენარეების ფოთლის ქვემო გვერდზე. კვერცხებიდან გამოდინან ჭიები, ახვევენ ერთ-ორ ფოთოლს და ამავრებენ ქსელით შტოზე. ამნაირ „ბუდე“-ში ატარებენ ზამთარს შტოებზე ჩამოკიდებულნი. გაზაფხულზე, გაშიინასკვება თუ არა კვირტები, ეს ჭიები გამოძვრებიან ბუდიდან და, სანამ ფოთლები არ გამოვა, კვირტებით იკვებებიან.



ნახ. 3.

კუნელის პეპელასთან ბრძოლა ძნელი არ არის. გაზაფხულზე, სანამ კვირტები გამოინასკვება, უნდა დაათვალიეროთ ხეხილი და მოკრიფოთ ზამთრის „ბუდეები“; ძალიან მალლა ჩამოკიდებული ბუდეები უნდა ჩამოიღოთ ბოლოგაპობილი დიდი ლატანით, რომ ჭიამ ვერ მოახერხოს გამოძრომა და ხეზე დარჩენა. ხეების გაწმენდა საჭი-

როა ყველაბაღში და უსათუფდუნდა გაიწმინდოს ყველა მტე (ნახ. 3. კუნელის პეპლის მუხლუხო).

ბლუნძელას პეპელა ანუ ბეჭდისებური აბრეშუმქსოვი ღამის პეპელაა. მამალი მოყვითალო მიზაკისფერია, დედალს კი მოლურჯო ფერი გადაჰკრავს (ნახ. 4). ბაღებში ყველგან ბუდობს. კვერცხებს პეპელა სდებს ვაშლის და მსხლის 1 შწლის წვრი-



ნახ. 4.

ლი შტოების ირგვლივ, რამდენიმე მწკრივად (ნახ. 5); სდებს



ნახ. 5.

400-მდე კვერცხს, რომელიც რჩება უძრავად მთელ ზამთარს. გაზაფხულზე კვერცხებიდან გამოდინან მუხლუხოვები და ღრღნიან ფოთლებს და შტოებზე აკეთებენ ქსელს.

ბლუნძელას პეპელას ასე ებრძვიან: გაზაფხულზე ფოთლების გაშლამდე ათვალისწინებენ ახალი შტოების ბოლოებს და, თუ აღმოჩნდება ზედ კვერცხები, სჭრიან და სწვავენ.

გახსოვდესთ, რომ ყველაზე უფრო ადვილი საშუალება მავნებელთა წინააღმდეგ საბრძოლველად ბაღებში ფრინველების შემოჩვევა და მათი მოვლაა.

შემიშუშავეთ ფრინველების შემოჩვევის ზომები, გააკეთეთ შოშიების ბინები, აგრეთვე გაუკეთეთ სახლები წიწკანებს,

ბოლოცეცხლებს, ბოლოქანქალებს, ბუზიჭერიებს და სხვა ჩიტუნებს; ჩამოკიდეთ სახლები ბაღებში, შეიმუშავეთ ფრინველების მოსავლელი ლოზუნგები, დასწერეთ ფიცრებზე და მიაკარით ხეებზე; შარაგზების პირად გამოაკარით დადგენილება, რომ თქვენი კოლექტივის სამეურნეო რაიონში არავინ არ ჩამოშალოს არცერთი სასარგებლო ჩიტის ბუდე. თვალყური ადევნეთ, რომ არავინ დაარღვიოს თქვენი დადგენილება.

თავგაბის მოძრაობა მაგაფხულზე

გაზაფხულზე ბევრი ცხოველი იწყებს შორეულ მოგზაურობას. ჩრდილოეთის ირმები მრავალრიცხოვან ჯოგებად მიდიან შორეული ჩრდილოეთისაკენ, სადაც ახალი საზრდოა და სადაც მათარ შეაწუხებს კოლო და სხვა მწერები. ირმებს მიჰყვებიან მგლები, დათვები, რომელნიც ირმის ხორცი იკვებებიან.

შორეული თბილი ქვეყნებიდან გაზაფხულზე ჩვენში მოფრინდებიან ფრინველები. ჩვენი სახლების აივნის ქერზე განახლება მერცხლების შარშანდელი ბუდე, ან აიგება ახალი. პაწაწინა ხის სახლებში მოიკალათებენ შოშიები.

განახლებული და გაღვიძებული ცხოვრება იწყება წყალშიც. ათასებიანი ჯგუფებით დაიწყებენ თევზები სვლას. წლის ამ დროს თევზი ჰყრის ქვირითს, საიდანაც ახალი თაობა იბადება.

თევზი, სანამდე ქვირითს დაჰყრიდეს, ეძებს წყნარ წყალს მდინარის მიყრუბულ ადგილებში, სადაც ქვიშა სუფთაა: იქ პატარა ლიფსიტები უშიშრად გაიზრდებიან, რადგან მყუდრო წყალს არ შეუძლია მათი გატაცება მდინარის ძირისაკენ და დალუპვა.

ქვირითის დასაყრდელად თევზი ზღვიდან მდინარის სათავეებისაკენ ამოდის, იქ ირჩევს იგი

ადგილს მომავალი ოჯახისათვის. ქვირითის დაყრა ჩვეულებრივად იწყება საღამოს და გრძელდება განთიადამდე.

თევზების ეს საგაზაფხულო მგზავრობა ძალიან ძნელია და საშიშარი, ამიტომაც ისინი უთვალივად ჯგუფებად იკრიბებიან; მათ კარგად იციან, რომ ამგვარი კოლექტიური სვლა მათ შრომას და დაბრკოლებებთან ბრძოლას გაუადვილებს.

როცა მდინარეში ამგვარი მოძრაობა ხდება, წყალი ვერცხლის მსგავსად ბრჭყვიალებს თევზების ზურგისაგან. წარმოიდგინეთ, როგორ მრავალრიცხოვანი იქნება ეს ჯგუფი, როცა მისი სიგრძე 20 კილომეტრს უდრის და სიგანე კი 5 კილომეტრს!

ისინი გაივლიან ასეულ, ათასეულ კილომეტრებს, რომ მონახონ ხელსაყრელი ადგილი „საბავშო კერისთვის“.

უფრო საყურადღებო მგზავრობას იწყებს ზღვის ონავარი თევზი ორაგული.

აპრილში ორაგულები შეიკრიბებიან უზარმაზარ ჯგუფად დასტოვებენ ზღვას და მიაშურებენ მდინარისაკენ. დიდის ჯა-

ფით გაივლიან ისინი მდინარის შესართავს და აყვებიან ზემოთ წყლის მდინარების საწინააღმდეგო მიმართულებით. ამ მგზავრობაში ისინი ებრძვიან ყოველ დაბრკოლებას, ადამიანს, მდინარის საშიშ ადგილებს, ხტიან ჩანჩქერებზე და სხვ. აუარებელი თევზი იღუპება ამ დროს, რომელთაც ნაპირებზე გამოორიყავს მდინარე და გახდის ადამიანთა, ცხოველთა და ფრინველთა საზრდოდ.

ხანგრძლივად მგზავრობენ ორაგულები, სანამ მდინარეში ძალიან შორს შეიჭრებოდნენ. აქ ისინი შეჩერდებიან და სქელ ქვიშაში ჰყრიან მრავალ მილიონ ქვირითს.

მძიმე გზა, ხელსაყრელი ადგილების ძებნა და ქვირითის დაყრა ამ თევზებს ძალზე ასუსტებს და ქანცავს. ისინი ეშვეებიან დასასვენებლად მდინარის სიღრმეში. ზოგი თევზი ამ შრომით იმდენად იღლებს, რომ ზღვაში უკან დაბრუნებაც აღარ შეუძლია, იქანცება, მგზავრობის ღონე აღარ შესწევს და იღუპება.

ოქტომბრელებო, გააცანით ამხანაგებს თქვენი ქურნალი „ოქტომბრელი“ და გაავრცელეთ იგი.



კოლექტივი და ლექსო

ლექსო თუმცა ზატარა იყო, მაგრამ იმას კარგად ესმოდა, თუ რას წარმოადგენდა კოლექტივი. იმისი უფროსი ძმა სოსო ძალიან სშირად ღაზარაკობდა შინ კოლექტივის მნიშვნელობაზე.

ძმის ასეთ ბაზს ლექსო ყოველთვის გულდასმით ისმენდა და შეიგნო, რომ კოლექტივი ძალიან კარგია, იქ არ არსებობს კერძო საკუთრება და კოლექტივის წევრს შრომა საუკეთესოდ უფასდება.

ამიტომ იყო, რომ ის გაკვირვებული შესცქეროდა დედის თვალეზზე მოძღვარ ცრემლებს, როდესაც სოსო, ლექსოს უფროსი ძმა, საკუთარ ხარკამენს კოლექტივის ბინაზე ერეკებოდა.

— დედიკო! რა გატირებს?— შეეკითხა ლექსო დედას.

მაგრამ დედა ისე იყო გაჯახვრებული, რომ სმა არ გასცა.

— დედა, იმიტომ ტირი, რომ სოსო კოლექტივში შევიდა და ყველაფერი იქ შეიტანა?— კიდევ შეეკითხა ლექსო.

— ჰო, შეილა, ჰო, სწორედ ამიტომ ვტირი, — მიუგო დედა.



ლექსო ძალიან დაღონდა; იმას ეკონა, რომ სოსომ კოლექტივში მესვლით კარგი საქმე გააკეთა, მაგრამ დედა რომ ასე შეწუხდა, ეს კი არ ესიაძოვნა.

— შენ ფიქრობ კოლექტივი ცუდია, ასე რომ ტირი?

— იქნება კარგიც იუოს, შვილო, მაგრამ მე რომ ჯერ არაფერი მინახავს კოლექტივის გაკეთებულში, ამიტომ მწუედება გული ჩემ საუვარდელ მამულს და საქონელსე.

— ნუ გეშინია, შენ მამულს და საქონელს იქ უკეთესი მოვლა ექნება,—იმედინად უპასუხა ლექსომ.

— ნეტავ მართლაც ეგრე იუოს, — ჩაილაპარაკა თავისთვის დედამ და თავალებზე მომდგარი ცრემლი კაბის კალთით მოიწმინდა.

რაც უფრო მეტი დრო გადიოდა, ლექსოს დედა რწმუნდებოდა, რომ იმის მამულს და ხარკამესს ერთგულად უყლიდენ კოლექტივში, ამიტომ იმედით ვესებოდა გული და ცრემლები სისხარულსე ეკვლებოდა.

ზატარა ლექსოსაც ასარებდა დედის სიაძოვნება და მოძველებში ის თავისი შრომით უფრო ბევრს ჰპირდებოდა დედას.

ოსავრელ.

მასართობი



ეს ცირკი დახატა
ერთმა ზარმაცმა



მხატვარმა აღარ
დაამთავრა. სინ-



ჯეთ, იქნება თქვენ
შეასწოროთ, რაც



აკლია, დაასრუ-
ლოთ სურათები.

თ ა მ ა უ ი

ჩიტები და გუგული

მოთამაშენი - ოქტომბრელები - ირჩევენ ხელმძღვანელს.
ბავშვები ყველანი ჩიტები არიან და ყველა შემოხაზავს თავის-
თვის წრეს - ბუდეს.

ერთი ჩიტი განზე დგას - ეს გუგულია.

როდესაც ამგვარად მოემზადებიან ბავშვები, ხელმძღვანელი დაიძა-
ხებს: „ქშა, გაფრინდით“; ფრინველები ამოფრინდებიან ბუდიდან და
დაფრინავენ, სადაც უნდათ. გუგულიც მათთან დაფრინავს.

ხელმძღვანელი დაიძახებს: „დაბრუნდით ბუდეებში!“ ყველანი,
და მათთან ერთად გუგულიც, მობრბიან და ცდილობენ დაიჭირონ
რომელიმე ბუდე. ის, რომელიც ვერ მოასწრებს ბუდეში ჩასვლას
და რჩება გარეთ, გახდება გუგულად.

თამაშობა შეიძლება გამეორდეს ხუთ-ექვსჯერაც.

1) ვინ არის, რომ არაფრის არ ეშინია -- არც სიცივის, არც სიცხის, მოდის შენთან მუდამ მხიარული, მღერის, იცინის, აბეჭებს, გაიმბობს ზამთარ-ზაფხულ დაულაღავად და დაუზარებლად?

გაეჩუქებოთ თქვენი შერჩეული „ქმარებელი“ და გაიხსნათ

2) კედელში ვარ ჩაქედლილი და წარამარა თავს ვატრიალებ, ვმღერი, ვხუმრობ და ვაბანავებ მთელი ოჯახის დიდს და პატარებს.

ზ ა მ რ ი ც ა ნ ე

ჯადო კვადრები		
12	13	14
23	24	25
34	35	36

1. საბჭოთა საქართველოს ქალაქი.
 2. რის დასაცავად მართავენ აბრილში საზეიმო დღეს?
 3. მდინარე საბჭოთა საქართველოში.
 4. რას ვაწერთ დღესასწაულის ჩასატრებლად დროშებზე?
 5. ძველ ხალხთა საომ. იარაღი:
 6. მგზავრების გადასაცემი საშუალება
 7. კაცის სახელი.
- ამ სახელების პირველი ასოები-საგან შეადგინეთ კომპარტიის ბელადის გვარი.

ამ უჯრებში ისე გადასვ-გადმოსვით ციფრები, რომ ჰორიზონტალურ და შვეულ მწკვრივებში და აგრეთვე ერთ ირიბშიაც რიცხვის ჯამი ერთი და იგივე გამოვიდეს.

ლოგოგრიფი

კ — ით თავში — სასწავლო ნივთია
ს — ით — მისალმება,



სად არის მესამე ბიჭი.

ორი ასანთისაგან არ გატეხოთ და ისე გააკეთეთ ხუთი და ათი.